საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 5 16 00978104

23/08/2016

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს "სპექტრი"

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში შემოსულ თქვენს 2016 წლის 1-19 აგვისტოს N924734 და N973475 წერილებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (ხსენებულ უწყებაში უნდა წარადგინოთ განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სარგებლობაში გადასაცემი ქონების შესახებ შესაბამისი მახასიათებლებით, სარგებლობაში გადაცემის სათანადო დასაბუთება, ვადა, საწყისი საფასურის ოდენობა და სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა პირობები), "სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების შესაბამისად, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით (არაუმეტეს ერთი წლის ვადით) გაიცეს კოლეჯის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში, ბ. ჭიჭინაძის ქ. N10-ში მდებარე შენობაში (ს/კ N01.19.23.009.061) 7 კვ.მ. ფართი, სავაჭრო ობიექტის მოწყობის მიზნით - იმ პირობით, თუ აღნიშნულით ხელი არ შეეშლება სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას. ამასთან, გაცნობებთ, რომ სარგებლობაში გადაცემის საფასური უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის N328 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ფართის/ფართების სარგებლობაში გაცემიდან 10 (ათი) დღის ვადაში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თანხმობები;
2. აუქციონის გამოცხადებისა და დასრულების შემცველი დოკუმენტი;
3. იჯარის ხელშეკრულება;
4. დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნა.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ლაშა საღინაძე